

შინაური საქმეები

უოველ კვირულ ბაზეთი

№ 9.

კვირა, ივნისი 8, 1908 წ.

ფასი წლიურათ — 4 მან.

ნახევარ წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეკათ.

ადრისი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: ქუთაისი, 20 ივნისი (მეთაური); ახლო-მაზლო—კირილე წუთისოფელისა; დაბადების მოთხოვნა—ტონკელისა; მოსე წინასწარმეტყველი და ივ. გომართლის იტიმოქია—სანმანინისა; ბუზი (ლექსი)—ონოფრე მწირისა; ბ. კოლხიდელს—რედ.ისა; სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი—ე. ჩ.—ძეისა; რედაქციის პასუხი—რედაქტორისა; კვირიდამ კვირობამდე; პასუხი მთავრე შენიშვნის ავტორს—ნ. მკერდილისა; მაგალითები, რომლებიც ამტკიცებენ სულის უკვდავებას და საიქით ცხოვრების არსებობას—სანმანინისა.

უოველ კვირულ ბაზეთი

„შინაური საქმეები“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და სავაჭრო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მ. ცალკე ნომერი ღირს 8 კ. აპრილიდან იანვრამდე 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

ქუთაისი, 20 ივნისი.

ვის რათ დასჭირდა მაღალყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეკლესიის სიკვდილი? აი საკითხი, რომელზედაც მთელი ადგილობრივი პრესა, განურჩევლად თავიანთ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მიმართულებისა, იტებს თავს და ვერაფერი გამოურკვევია. ეს საკითხი იპყრობს დღეს მაგისტრ ჩვენ არსებობას და ვერ მოგვიცია პასუხი, ვერ მოგვირკვევია, რას მივაწეროთ ეს საზოგადოებრივი მკვლელობა? იმ დროს, როცა სინაღოსის თავისუფლება ცხოვრების უმაღლეს პრინციპად არის აღიარებული, გაუგებარია სარწმუნოებს წარმომადგენლის ვერაგული მკვლელობა ამას იქით რაღა იმედი უნდა გვქონდეს, რომ ჩვენ დავიცავთ ამ თავისუფლებას? თუმცა აქამდისაც მხოლოდ ენაზე ვკრათ ჩვენს ვაჟბატონებს

ეს და სხვა თავისუფლებაც, მაგრამ ამ კადნიერებამდის არ მისულან ჯერ და არც გვონებთ, მივიდნენ. აქ სხვა მიზეზები უნდა თამაშობდნენ, აქ პირადი ინტერესები, პირადი ანგარიშები უნდა თარეშობდნენ და ამ პირადი ანგარიშით, ერთი პირის, ან ერთი ჯგუფის მოქმედებით ჩირქი ეცხება მთელ მხარეს და განსაკუთრებით მის სამღვდლოებას, რომელთაც ისეთივე მონაწილეობა მიუძღვისთ ამ საქმეში, როგორც საბერძნეთს და მის ქურუმთა დაწესებულებას ქალღმერთის დიანას დიდებულ ტაძრის დაწესებაში. ქართველ ეკლესიის სამღვდლოება თითქმის ყოველთვის დევნაში ყოფილა შინაურისა და გარეულისაგან, ეხლა ხომ მაინც სულ აბუჩად არის აგდებული და სისხლში გათხუზნულ უბრალო ყასბის ბიჭიკ კი დასცინის მის მართლა სასაცილო მდგომარეობას, მაგრამ ყოველთვის სულგრძელობით ითმენდა და ითმენს, თუმცა ამ მოთმინებას სხვები ცოდვად ურაცხდნენ და უკიეინებდნენ სხვას მაინც ნულარ უქადაგებთ მოთმინებასაო. ეგრეთ წოდებულ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს საქართველოს სამღვდლოებამ ეკლესიის ავტოკეფალობაზე აღძრა საკითხი, მაგრამ არა ძალმოძრეობით, ან რევოლუციონურ მოძრაობით, არამედ კაკონიერი მოთხოვნით, უმაღლესი ნებართვით, რომ უკანონოდ წარმოებული საქლესიო თვითმართველობა უკანონოა, კანონიერად დაებრუნებინათ მართლობას.



დიდებლობის და რუსეთის ეკკლესიისთან ძმურ კავშირის განსამტკიცებლად და არა შუღლი-სა და მტრობის ჩამოსგდებად, რომელსაც ქართველი სამღვდლოება იმ თავითვე ერიდებოდა და ღდესაც ერიდება. ბევრს ეს მოთხოვნა რევოლუციონურ მოძრაობად მიიჩნია, რომლის დაუკმაყოფილებლობა მათის აზრით აბრაზებს და სასტიკ ზომების მისაღებად იწვევს ქართველ სამღვდლოებას. ამიტომ გასაკვირვალის არ არის, რომ ზოგი მათგანი ამ შემთხვევაში იქვიანობენ მათზე. თუ ხმებს დაუჯერებთ, თბილისის ქეშმარიტ რუსთა საზოგადოება არ მალავს თავის ეჭვებს ქართველ სამღვდლოებაზე, მაგრამ დავარწმუნებთ ქეშმარიტ რუსთა კავშირის ქეშმარიტ წევრებს, რომ ქართველი სამღვდლოება მტკიცედ ადგია ქრისტეს მცნებას „არა წინააღმდეგობად ბოროტებისა“ და „ქარქაშადვე მოქცევად ამოღებული მახვილისა“, რადგანაც მტკიცედ სწამს, რომ ცეცხლითა და მახვილით არაფერი სიკეთე არ დამყარდება, ვისგანაც უნდა იყოს მართებლობისაგან, თუ ქვეშევრდომისაგან. გონივრული და მიუდგომელი, გულწრფელი, მოყვლის სიყვარულით გამსჭვალული ადამიანური ქცევა და სჯაბაასი, პირადი ინტერესების დავიწყება და საღვთო ინტერესების წინ წამოყენება, აი ის იარაღები, რომლებიც დამყარებენ ქვეყანაზე სასუფეველს, ქართველ სამღვდლოების აზრით. თუ კაცობრიობას ჯერ სავსებით არ შეუგნია ამ იარაღის ხმარება, ცეცხლისა და მახვილის მაგიერ, რომელიც იმერეთის სამღვდლოებამ მაინც სავსებით განიცადა ამ ორი წლის წინეთ ჩვენი მოძრაი ემაწვილებისაგან (მოჰკლეს უღანაშაულოდ მღვდლები: წერეთელი, ფერაძე, ცინცაძე, ჩიხიანი) მითომ თითონაც იარაღი არ აუღია ხელში და არც სხვა აუგულიანებია ეხმარები. მით უფრო სიბრაღეულის გრძობითაა აღვსილი ჩვენი გული მათდამი ვინც ეს საზოგადოარი და საქართველოში უმაგალითო მკლველობა ჩაიდინა, „რამეთუ არა იციან, რასა იქმიან“. რომ განსვენებულ არქიეპისკოპოსს სათქმელი ჰქონოდა, ეჭვი არა გვაქვს, ვაიმეორებდა ჯვარცმულის სიტყვებს და სთხოვდა მასვე

მიტევებას, მაგრამ მიუტევებს მათ თავიანთი სინილისი? მიუტევებს თანამედროვე საზოგადოება? მიუტევებს შთამამავლობა? ძნელი დასავიწყარია ეს ამბავი, ძნელი დასათმობია კაცისაგან სარწმუნოების, ამ ადამიანის წმიდათა წმიდის, შებღალვა... მხოლოდ ღმერთს შეუძლია მიუტეოს, ღმერთს, რომელი „არა არს ღმერთი მკვდართა, არამედ ღმერთი ცოცხალთა“....

✻

X ა ხ ლ ო - მ ა ხ ლ ო .

I.

ყოველი ერი, ყოველი საზოგადოება და კერძოდ ყოველი პირი, რომელსაც ოდნავ მაინც აინტერესებს მისი სამშობლოს, მისი ერის ბედ-იღბალი, აინტერესებს ის საკითხიც, რომ ადამიანი ადამიანურად უნდა სცხოვრობდეს, მას უნდა ჰქონდეს ქეშმარიტი ზნეობრივი სწავლა და ის უნდა სთესოს ყოველგან და ყოველთვის. როცა ავიწყდება ადამიანს, რომ ის ადამიანია, ფართე მოაზრების პატრონი, მეტყველი და გონებით აღჭურვილი არსება, შექმნილი მსგავსად და ხატად ღვთისა, — მას ავიწყდება ყოლიფერი. ის, არა თუ არ იბრძვის წინსვლისათვის, თუმცა-კი ფიქრობს ვითომც წინ მიიწევა, პირ იქით, უკან იხედება... უარჰყოფს ქეშმარიტებას... ერთის სიტყვით, ის არის ცხოვრების უკანონო და უნიადაგო შეილი. — რა კეთილი უნდა მოეთხოვოს იმ პირს, რომელსაც დავიწყება მისი შემოკმედი, და ფიქრობს, ვითომც ის აღდგენილ იყოს ქიალუის თესლისაგან?

დღეხ, ასეთს პირს არ მოეთხოვება არაფერი. ის მართლაც ის არის, ვის შთამამავლობიდაც მას თავი მოაქვს და საითკენაც ის ურცხვად იშვერს ხელს.

მე მუავს სახეში ნამდვილი ადამიანი, რომელსაც უნდა ამშვენებდეს ქეშმარიტი ზნეობრივი გრძობა, დაკავშირებული საწმუნოებასთან და განათლებული ქრისტეს სწავლით და არა გარეგნული, — რომელიც ღან მელისს

კულს გამოაჩენს და ხან მგლის კბილებს. უკანასკნელს ცბიერობა იწვევს, ის მოძრავებას, როგორც „შირაჟი“—მოჩვენება, და ამას ცხოვრებაში უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე აშკარა უზნეოს, რომლისაგან შეიძლება თავი შორს დავიკავოთ.

ქეშმარიტი ზნეობრივ ღირსებას უსარწმუნოებოდ კაცი ისე ვერ შეიძენს, როგორც უნიუოდ ცეცხლს ვერ დაანთებს. ისე შეზავებულ-შეკავშირებულია ზნეობა სარწმუნოებასთან და სარწმუნოება ზნეობასთან, რომ მათი გაყრა ისეთივე მოუხერხებელია, როგორცაა გაყრა ცეცხლისა და სინათლისა. არის ცეცხლი, არის სინათლეც; ჰქრება პირველი, ჰქრება მეორეც. სადაც სარწმუნოებაა, იქ ქეშმარიტ ზნეობასაც ფართე ნიადაგი უჭირავს და სადაც ამ უკანასკნელს სარწმუნოება არ იწვევს იქ ერთიც გაჰქრალია და მეორეცა.

ამ ჩვენს საიგავ-არაკო დროს, ეგრედ წოდებულმა „მოძრაობამ“ მეტის-მეტად უცვალო ფერი ხალხის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ გრძნობას, რომლის ნაყოფმა თვითოეულ ჩვენთაგანს კარზე ჩამოგვიკაკუნა. შეასუსტა, შეარყია სარწმუნოება, რამაც პირდაპირ მიზანში ამოღებულ საქმესაც დაასვა მისი კვალი. სარწმუნოებრივმა ბრძოლამ ხალხის გულში გამოიწვია ანარხიული გრძნობები, დაკარგა იმედი ამა, თუ იმ საზოგადო წყობილებისა, დაბადა შური, მტრობა და გესლი, დაკარგა პიროვნების ხალისი ცხოვრებისა, რამაც საქვეყნო და საერთო საქმე ისე არივ-დარია, რომ იმის კვლავ აღდგენას ამ მოკლე ხანში მარტო სასწაულთმოქმედებით უნდა მოველოდეთ.

მოძრაობის ბელადების პროგრამით იყო გამოწვეული სარწმუნოებრივი ბრძოლა, თუ სოფლის იმ გამოუცდელი „მოძღვრების“ საკუთარი აზრით, რომელთაც დედის რძე ჯერ პირზე არ შეშრობიათ, მაინც შეიძლება ვუპასუხოთ ზირაქის სიტყვით: „გაადნე ოქრო და ვერცხლი რაც გაქვს და გააკეთე სასწაური, რომლითაც შეგძლოს ასწონ-დასწონა შენი სიტყვა და გასქედნე საიმედო აღფრი, რომელმაც დაიკვას ბაგენი შენიო.“

უთაებოლო მოძღვრებამ სულ სხვა სული

ჩაუდგა ხალხს, რა თქმა უნდა, გამოუსადეგარი საკუთარი ინტერესებისათვის: ქადაგებდნენ ერთობას, დაიბადა განხეთქილება, ქადაგებდნენ ძმობას, დაიბადა მტრობა, ქადაგებდნენ სიყვარულს, დაიბადა შური! ადვილი ასახსნელია თუ რად მოხდა ასე: ეს ქადაგება იყო მარტოდ-მარტო უშინაარსო ხმაურობა (ЗВУКЪ), მას არ ქონდა უმათერგიო მაცოცხლებელი ძარღვი, მასში არ იყო ჩაქოვილი სასწაულთმოქმედი სარწმუნოებრივი ძალა, მასში არ ვხედავდით იმ დიად სიყვარულს, რომელიც ქადაგა ქრისტემ... ზო და კიდევ დატრიალდა საქმე უკუღმა. ხალხი გაიტაცა სრულიად კერძო ინტერესებმა, კერძო ქონების შეძენის სურვილმა, მთავრობის და უფლების მოპოვების გრძნობამ. ძლიერს სურდა სუსტზე გამეფება—გაბატონება, სუსტი გრძნობდა მისდამი შურს და მძულვარებას და სხ. ერთის სიტყვით ცოტადა იყო საქირო, რომ უკიდურესი ბატონ-ყმობა გამეფებულყო, ნაცვლად თავისუფლებისა... აღელვებული ხალხი, რომელმაც დაკარგა, რაც წმიდა-წმიდათა მის არსებაში (სარწმუნოება), ზღვისავეთ აზობოქრდა, მან წინ უსწრო ბელადებს და უდროოდ დაღეწა უტყუარი იარაღი, გააქრო სარწმუნოებრივი ჩირაღდანი და გამოვიდა უარალოდ ბნელში საომრად.

ახლა ვიკითხოთ, ასეთ უსულ-გულლო „ქადაგებამ“ ხალხს შესძინა, თუ არა, რამე ცოდნა? როგორც ხელობის უცოდინარმა რამე ლითონი გააღნოს, რაც წმიდა და სავარგისია დაექცეს და დაეკარგოს, ხოლო ეანგი და უვარგისი ნაწილი ხელში შერჩეს, სწორედ ამ რიგად შეძინა უვარგისი და გააცალა, რაც კარგი და მარგებელი იყო... ეს, ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ხალხს დაუწყეს სწავლება არა პირველ-დაწყებითი სასწავლებლით—წინ, არამედ აკადემია-უნივერსიტეტით—უკან. იმ ხალხს, რომლის უმრავლესობას ჯერ კიდევ ბეჯითად სწამს წითელა-ყვავილის ბატონობა, ქურის თავზე ღორის თავით ლოცვა, მარჩილის „სიბრძნის“ უტყუარობა, თვალთშეუხებელი „თილისმის“ გულზე დაკიდება და სხ. სიტყვით, წიგნაკებით და საზოგადოდ ბეჭდვითი სიტყვით, რაც ხალხს ანბანურად ესმის

დღუწყეს ქადაგება დარვინის მეცნიერებაზე, რენანის გამოკვლევაზე და სხ. რამაც გულმარტივ სოფლის ხალხს, სიცხე ნაკრავით ბოდვა დააწყებია მისთვის მიუწოდებელ რამე-რუმეებზე. დასწულდა ის სულიერად და ხორციელადაც, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ პირველს უკანასკნელზე გავლენა აქვს.

მოზრდილ ძაღლებს თვალს უხვევენ და ისე ვადაყვით ერთი ადგილიდან მეორეზე, რომ გზა არ დაინახსოვროს და უკან გამოქცევა არ გააპიროს. სწორედ ასეთი თვალახვეული გადავიდა ჩვენი მღაბიო ხალხი, თითქმის ანბანის უტოდინარიც „უმწვერვალეს მეცნიერებაზე“ და ის კი ჯერ ისევ საკითხად რჩება, ისურვებს თუ არა ეს ხალხი, რომ სწავლა ისევ ანბანით დაიწყოს...

როდესაც კაცს ებადება აზრი ბრძოლის და ისიც სარწმუნოებრივი, ის კი არ არის საკვირველი, რომ ზოგიერთ მეტიჩარას ისე გამოუბნელდეს თვალები, რომ ვერ ხედავდეს თავის დანაშაულს ხალხის წინაშე, უფრო საკვირველი ისაა, რომ ასეთ პირს არც ისტორიის წინაშე მიაჩნია თავი დამნაშავედ. ჯერ, რომ თამარ მეფის დროინდელი ციხე ვანძემ დაანგრის, ან წარწერები მო'პოს, მას წყველა-კრულვით მოიხსენიებს ისტორია და შთამამელობა როგორც წამშლელს ისტორიული სიძველისას, თორემ რა უნდა უთხრას ისტორიამ და შთამამელობამ იმ პირს, რომელიც ცდილობს ერთი ხელის გაქნევით დედა-მიწასთან გაასწოროს რამოდენიმე საუკუნოებით ხალხის გულში დაბუდებული და შესისხლ-ხორცებული სიძველე — სჯული? ისიც ისე ამკარად და მოურიდებლად, თითქო აშორდიას ისტორია გაეთელოს ფეხქვეშ, რომე-ღმაც მკვრული ასოები და ლექსი-კონი გამოიგონა.

„ესეც განათლების ნაყოფიაო“ — იტყვის ზოგიერთი. მტკნარი სიცრუეა განათლება არა-თუ არ ართმევს, პირ-იქით აძლევს კაცს სარწმუნოებრივ გრძნობას, მაგრამ უკუღმართად შეთვისებული სწავლა-კი, რა თქმა უნდა, აშორებს მას. ინგლისის პირველ ვეზირს, ბეკონ ვერულამელს უთქვამს: „თუ სწავლა-მეცნიერებას მხოლოდ ტუჩების ბალოებით შევე-

ხეთ — გვაშორებს ღვთისგან, მაგრამ თუ იგი ხარბად ვიკემეთ, ისევ გვაახლოვებს მასთანო.“

„სწავლა, — როგორც ქვეიან კაცს უთქვამს, — თავის-თავად არც კეთილია და არც ბოროტი, არც სინათლეა და არც სიბნელი; ის არის დანა, რომელიც პურს დასჭრის, მაგრამ კაცსაც დაკლავს; ის არის საშუალება, რომლის შემწეობით კაცს შეუძლია, რომელი გზითაც სურს, — წავიდეს...“ ვილიამს უთქვამს: „აი ბნელი ოთახი, მასში ძვეს ქვა, რომელიც სიბნელისა გამო არ იხილვება, შევიდეთ ოთახში სანათით ხელში, ვხედავთ, რომ ოთახი განათლდა, ჩვენ დავინახეთ ქვა და კარგადაც გავსინჯეთ ის. ქვას ნათელი მიადგა, მაგრამ სახე-კი არ შეუცკლია, ის ისევ ქვაა, რომლისგან შეიძლება გამოქანდაკდეს ანგელოზის სახე, მაგრამ შეიძლება გაკეთდეს ეშმაკის გამოხატულებაც. სწავლაში კაცმა სახე თუ არ შეიცვალა, ე. ი. არ მიემსგავსა მას ვინც არის თვით განუსაზღვრელი სიყვარული, ხომ შეიძინა მან იარაღი, დანა, რომლითაც შეხვდება პურს დასჭრის, შეხვდება კაცს დაკლავსო.“

ერთ ნემეც მასწავლებელს უთქვამს: „თუ ცოდნა არ აკეთილშობილებს კაცის სულს, არ იწვევს მის უღრმეს სარწმუნოებრივ გრძნობას, არ ეხება მის ზნეობრივ მხარეს, ის კაცი არ არის ქეშმარიტად განათლებული, თუ გინდ, რომ მან იცოდეს უკანასკნელი ზღაპრიდან, უუმწვერვალეს მეცნიერებამდის ყულიფერი და თუ, რომ ის ლაპარაკობდეს უფრო ბევრ ენებზე, ვიდრე კარდინალი მეკოფანტი, რომელმაც იცოდა 58 ენაო.“

თუ ვინმეს დასჭირდა სარწმუნოების წინააღმდეგ გამოლაშქრება პოლიტიკური ბრძოლის იარაღად, — ქუთის სიმახვილედ არც იქიდან გამოდის. ჯერ ერთი, რომ ძალიანადაც გვინდოდეს ჩვენი ეზო დავებართო, ხეხილები ვადავრგ-ვადმოვრგოთ, ერთის სიტყვით კულრურულად დავიმუშაოთ, ქა რად უნდა ავაგოსოთ ნებსით, საიდანაც ჩვენ მასაზრდოებელ წყალს ვეზიდებით? პირ-იქით, ის უნდა ამოეწმინდოთ და გავასუფთაოთ, რადგანაც ცხადია, რომ უწყლოდ ცხოვრება მოუხერხებე-

ლია — და მეორე, ვინც ნამდვილი და არა „დაქირავებული“ მოღვაწეა, მას რელიგიური რწმენაც განმტკიცებული აქვს. ავიღოთ მაგალითად უბირველესი ბელადი და უწარჩინებულესი მოღვაწე ახალი დროისა, რომელიც არა თუ სოფლითი-სოფლად სამარცხენო ღვარძლს სთესდა, არამედ სითამამე ქონდა მეფის წინაშეც წამღვარიყო მისი რწმენის გამოსამღვანელოდ და რომელმაც თითქმის ამ საქმეს შესწირა თავი, რეკტორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, აწ განსუენებული პროფესორი, თავადი ს. ნ. ტრუბეცკოი. ის, როგორც მაღალგანათლებული მოქალაქე, იყო კუშმარატი ქრისტიანეც, სიტყვით და საქმით ნამდვილი შვილი მართლ-მადიდებელი ეკლესიისა. წავაკითხოთ მისი ნაწერები, დავაკვირდეთ მის ცხოვრებას და აშკარად დავინახავთ, თუ რა მანძილია განათლებულსა და მარტო ნასწავლს შორის... „რადღა იგი სინათლე, რომელსაც ახლავს ბნელია“.

უკვდავი მწერალი პუშკინი ამბობს: „შენ თვითონ ხარ შენი თავის უმადლესი მსახური“. ეს ხომ ნათელივით ცხადია, მაგრამ ამას მომღვაწეობა ნაკლებ ჰყავს, უფრო მდამიო ხალხში. ჩვენს ხალხს მეტის მეტად ეზარება საკუთარი შეხედულება იქანისა ამა თუ იმ საგანზე. მას არ უნდა გაიგოს რამდენად მართალია, ნ სასარგებლო მისი ინტერესებისათვის სხვისი აზრები ხანდისხან ლამაზად და სიმართლის მიგვარადაც წარმოთქმული, არ უნდა გაიგოს, რომ ყველა ოქრო არაა, რაც ბრწყინავს...“ ნათქვამის დასამტკიცებლად მომყავს ის ფაქტი, რომ ჩვენმა, თითქმის წერა-კითხვის უცოდინარმა ხალხმა უცბათ „შეისწავლა“ (?) დარვინის მეცნიერება. (1) რანაირად მოხდა ეს, რამ დაარწმუნა ხალხი იმაზე, რაზედაც მეცნიერებაც ვერ დარწმუნებულა? ადვილი ასახსნელია. ეს უოხრა მას „გოროდში“ ნამყოფმა მშაბიკებმა; ეს მან გაიგონა, თუ ამოიკითხა ი. — გ. ნაწერებიდან, გ. — ძის კალენდრებიდან დი სხ. მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ერთი ეს საბუთი არ არის.

კირილე წუთისთვლელი.
(მეცნიერი იქნება).

დაბადების მოთხრობა

დაძმისა და ეკას შეცოდებაზე ნამდვილი ისტორიაა, თუ აღლკოროა და სდაზრა?

(ჩვენი მატყრილისტების აბდა-უბდის გამო)

ვახ დედა თქვენსა, ყოველთ,
 ცულ დროს ჩავიგდავთ ხელადა,
 თორთ ვნახავდი თქვენს ბუმბულს
 გაშლილს, გაფანტულს ველადა!
 არ წივი — ვაჟა-ფშაველასი.

I თავი.

დიად, მონადირისაგან დაკოდის არწივს თუ დაეხვოდნენ ყვაეები თავიანთ საბრალო „ყვა-ყვათი“, თორემ მანამდის ფრინველთა მეფის დანახვაზედ ბინას როგორ გამოშორდებოდნენ და ხმას როგორ გაიღებდნენ! ასეთია ბუნება ყოველი წვრილფეხობისა და არარაობისა. ბედაურები როცა იხოცებიან, მხოლოდ მაშინ რჩება წვრილფეხებს მოედანი, როცა ღოი დაბერდება, მხოლოდ მაშინ იბრძოლებენ მას როცა დატყვევებულს სპილოს დანახავს, ფინიც მაშინ იწვევს ყფფას სოფლის შესახედავად, რომ ძაღლებმა დიდს მამაცობაში ჩამოართვან და ასე შეასხან ქება: ай, Москва! знать, она слышна, что лаетъ на слона! ჰოდა, არკი მოგახ ენეთ, რომ ასეთია ბუნება ყოველი წვრილფეხობისა! მელამურაც და ბუც ხომ მაშინ თარეშობენ ქვეყნის პირად, როცა ყოველი სულღმული განისვენებს!

სწორედ ამ წვრილფეხა სულიერებს მოგვაგონებენ ჩვენი უკულო „წოწილისტებიც“, რომელნიც მხოლოდ მაშინ დაწოწილობენ, როცა მსხვილფეხიანებს მათთვის არა სკალით და ბედაურების მოედანი დროებითა ცალიერია. მაგრამ ერთი გამოჩნდეს ბედაური და მაშინ შეხედეთ მათს ძუნძულს! მხარი მოურჩეს დაკოდის არწივს და ნახეთ ყვაეების სერი! შეხსენით ჯაჭვი სპილოს და უფურეთ ხორთუმის ერთი მოქნევით სად სტყორცნოს საბრალო ფინია!

ჩვენი ნაძილადები მეცნიერნი გაამაყდნენ და თავს გაუუიდათ მით, რომ ხმა არავინ გას-

ცა მათ და თუ რამ ან საბავშვო სახელმძღვანელოში ამოუკითხავთ, ან ქუჩა-ქუჩა გაუგონათ ჭკუაზე გადასულ პირებისაგან, მთლიან მხეზე გამოფინეს როგორც დამყაყუბული ფართალი და ქვეყანა ააშორეს! მათ ჰგონიათ, მეორე ამერიკა იპოვეს, მთელს ქრისტიანობას ზურგზე მოექცენ და მის წარმომადგენელ სამღვდლოებს თავზე გადაახტენ, ჰგონიათ, თუ მათი ქორი და აქია-ბაქია, მათი აბდა-უბდა შეცნიერების უკანასკნელი სიტყვა არის.

მართლაც რომ საბრალოა ამ ფინიების ყფა და წაწკანი! ისე სულს არ მოითქმენ, რომ არ მოგახლონ პირში დამყაყუბული და დაზებირებული ფრაზა: „შეცნიერებამ დაამტკიცა“, „შეცნიერებამ სამუდამოდ გაფანტა ეს სისულელე“, „შეცნიერებმა გამოიკვლიეს“, „შეცნიერება უარჰყოფს“, „ამან ეს სთქვა, იმან ის სთქვა“ და როცა ანგარიშს მოთხოვ, აღარ იცის, სად გაიპაროს! ფიცი, მტკიცი, არაფერი არ წაეკითხოს, არ იცოდეს, არ გაეგებოდეს მის მეტი, რომ თავზე უმეცნიერესი აღარაინ ჰგონია. მაგრამ მოგვხსენებათ ცალიერი და ჩურჩული თავთავის არაკი, სად სწევდა ცხვირს, ან რა ამბავში იყო ცალიერი ბოქვა! რასაც ევროპის ათასმა რაციონალისტმა ასი ათასი ტომი გამოკვლევა უძღვნა, მთელი თავისი დიდი ჭკუა, მეცნიერული სიმწიფე და სიცოცხლე შეაღია და კიდევ ვერ სთქვა უკანასკნელი სიტყვა, მას ჩვენი ფინაუბი ერთი კალმის მოსპით სწყვეტენ და მოუთმენელად იძახიან: „ევრიკა“-ს! აღარც სირცხვილი, აღარც ზრდილობა, აღარც გონიერება მათში აღარ მოიძებნება. მირბიან, მიჭიპყინობენ შეცნიერების სახელით და წინ თუ უძირო უფსკრული დახედებათ და შთაინთქებიან, არა რად იქცევიან, ის კი აღარ აგონდებათ. მერე ვინ არიან ეს მოძღვრები? უმეტეს ნაწილად ქუჩის ბიჭები, რომელნიც მარჯვენა ხელს ვერ არჩევენ მარცხენასგან. შარშან, არეულობის დროს, ერთი მეურნე ბიჭი ჩამდგარიყო დელეგნის პასაჟირებში და უმტკიცებდა გლეხებს, რომ ბედნიერება კარზე აღვიათ, ღმერთი თურმე აღარ ყოფილა, მღვდლებიც აღარ შეგვაწუხებენ და გათავადები თუ არა არეულობა, ყველგან სკო-

ლებს გაგვიხსნიან და უსწავლელი აღარაინ აღარ ვიქნებითო. „შენ პირს შაკარი“, „გიშველოს ღმერთმა“, „ძან კაი ყოფილა“—იყო პასუხი გახარებული გლეხების. მე ცოტა ავლელი ამ სიტყვებზე, გლეხები შემებრალენ და მეურმეს ვკითხე, რა დაგიჯდებათ საყოველთაო სწავლა მეთქი.

— არაფერი, მომიგო მან,—სწავლა ახლაა ძვირი, თორემ მაშინ სულ უფასო იქნება.

— მასწავლებლად ვინ გეყოლებათ?— ვკითხე მე.

— ცოტაა ნასწავლი კაცი?

— მართალია, მაგრამ შენ რომ დიდი ნასწავლი იყო, შენს სწავლაში 5000 მ. გქონდეს დახარჯული, მამაშენს შენი სწავლისთვის მთელი მამული გაეყიდოს, რამოდენიმე ასი თუმანიც კიდევ ევალდებინოს, მერე შენ რომ გთხოვონ იმ ბედნიერს დროს, მოზძინდი და ტყვილა გვისწავლებინე სკოლაში ბოვშებს, მასწავლებელს ნუ გვაქირავებინებო, რას ეტყვი შენ, დასთანხმდები უჯამაგიროდ?

— არ ადგა მათი გვერდები! ვალები რაღათი გავისტუმრო? მამა ხომ შიმშილით მოკვდა?

— აბა თქვენ ვინ გასწავლით უფულოთ? ნასწავლები დადგებიან უჯამაგიროდ და გასწავლიან, თუ ვინ პისცემს მათ ჯამაგირს?

— ხაზინა.

— ხაზინა რომ აღარ იქნება?! აკი გლეჯენ და სპობენ ხაზინას! ეს წესები ხომ აღარ იქნება!

— იშოვიან სადმე ფულს, აბა რა ვიცი.

— სად იშოვიან? ხელმწიფე გამოგზავნის?

— ხელმწიფე რომ არ იქნება, რას გამოგზავნის!

— სოფელს რომ შეაწერონ, რა უშავს?

— შეწერაზე თუ წავიდა, ახლაც აგრე არაა? შეწერა როგორ შეიძლება?!

— მაშ როგორ გნებასთ?

— როგორ და მუქთან.

— დიად, მოგართმევენ! გამოზრდიან სხვაგან, ევროპაში, შეილებს, საცხოვრებელს გა-

დააღვევენ და შენ დაგიყენებენ მუქთ მასწავლებლად!

— აბა თქვენ ბრძანეთ, ბატონო, რავე ეშმაკათ იქნება ეს მუქთი სწავლა?

— მხოლოდ ერთი გზით: საჭირო ფულს სოფელზე, საყოველთაოდ, გაწერენ და ვისაც რა მოუწევს, უნდა იხადოს და თუ არ გადაიხადა, ძალით წაართმევენ.

— ჰო, ხომ გითხარი მახარია, გვატყუებენ-მეთქი — მიუბრუნდა ერთი გლეხი მეორეს.

— ნამდვილათ გვატყუებენ! დაუკრა კვერი მეორემ. ამ სიტყვებზე მეორემ, ჩვენი ორატორი, გადაგვიბტა დელეგანზე და მიგვემოლა ტყეში.

— შენ გადღეგრძელოს, ბატონო, ღმერთმა, თორემ კინაღამ არ დაგვაჯერა იმ ძ—ღმა, — მომიბრუნდა მე ერთი გლეხი.

— ბიჭო, ვერ შეატყვე ამას წინეთა რომ ხეზე შესკუბდა ვილაცა და დეიძახა, ფულია საჭირო და ორ ორი შაური შემოგვაწიეთ ყველამო, მერე მობოჭა და წაიღო! ასე იყო რუსის შემოსვლაზეც, სხვაფერ კი არ ყოფილა. ეს გარასახადი რთა ეხლა, წინეთ კი არ იყო ამდენი: ჯერ ორი შაურიდან დაიწყეს, გზებისთვის გვინდაო, მერე ორი მოუმატეს, მღვდლისთვის გვინდაო, მერე ათშაურათ გახადეს და ახლა კაკალი თუმანი მაქ მე მარტო-შემოწერილი!

მე უნებურად გავიღიმე, გლეხის გულში მიღრთა ჩავიხედე და დელეგანიდან გადმოვბტი.

აი ასეთი ყალიბისაა ეხლანდელი გამეცნიერებული ფინებიც. წაწკანებენ, ყაუიან და არ იციან არც თავის და არც ტანის არაფერი.

სწორეთ საჭიროთ მიგვანჩია, რომ ამ ფინებს ჭკუა ესწავლოს გონიერი კრიტიკის საშვალეებით და ხელში აღარ აიღო ის კალამი, რომელსაც ბოროტად ხმარობენ. ყოველი უფიცის სწავლება მაღლად სწერია....


რადგან ამ ორგანოს („შინაური საქმიანობები“) ფურცლებზე უკვე აღძრულა მძიმე საკითხი დაბადების პირველი გვერდების შესახებ (შესახებ ქვეყნისა და კაცის განენისა) და ამასთანავე გამოტოვებულია ყველაზედ უფრო სა-

გულისხმიერო და უძნელესი საკითხი შესახებ სამოთხისა და პირველი შეცოდებისა, ჩვენ ამ წერილში შევეხებით ამ საგანს და ყოველმხრივად გავარჩევთ მის შესახებ არსებულ თეორიებს. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ახლად მოვლენილი ქართველი მეცნიერი, ავქსონი წყალ-წყალა წიგნაკისა: „კროგნუდა საკათისა“, დიდის რიხით აცხადებს: „მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ არავითარი ადამი და არავითარი ევა არა ყოფილი არავითარ ედემში“-ო.

რასაკვირველია, ჩვენს მეცნიერს „არავითარი მეცნიერების დამტკიცება“ ამის შესახებ არ წაუკითხავს და არ გავგება, რადგან არც არის იგი, მაგრამ კერძო აზრები და თეორიები კი ბევრია ამ საგნის შესახებ და ნაძალები მეცნიერის უმეტესების გასაფანტავად ჩვენ უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ საგანის გულში და რაც სათქმელია უნდა ვსთქვათ, რომ კოტათი მაინც გავაცნოთ საქმის ვიწარება „უვიც მეცნიერებს“.

ტონკმელი.

(შემდეგი იქნება).



მოსე წინასწარმეტყველი*) და ივ. გომართლის ივიზოზია.

(დასასრული.)

მეოთხე და უკანასკნელი იერიში ბ. გომართელს მიიქვს ბიბლიაში ნახმარ ღვთის სახელწოდებაზე: „იეგოვა“. ეს სახელით, ამბობს გომართელი დელიზის თანხმობით, მოსემ ასსირიიდან ისესხა და ებრაელები კი მოატყუა, თვით ღმერთმა განმაცხადაო.“ საწყალი ებრაელები ბ. გომართელს მოსეს ყურმოჭრილ სახედრებად ვადაუქცევია და ჰკონია რასაც მოსე ეტყუა იმას სრულ ქეშმარიტებად ღებულობდნენ. ნუ დაგავიწყდებათ ბ. გომართელი, რომ ებრაელები აგრე რიგად არ ენდობოდნენ მოსეს და ხანდისხან ბროტესტსაც უცხადებდნენ. მეორეს მხრით სიტყვა „ia-a-ve-ihu“ არც ისე მარტივი გასაგებია, როგორც დელიზს

*) იხ. „შინ. საქ.“ № 8.

ჰკონია. დელიი დელიჩია, მაგრამ სხვა ასიო-
რიოლოგებიც კაცებია, რომლებიც ამ სიტყვას
სხვა წაირად კითხულობენ და ხსნიან. დელიის
მოჰყავს სამი ასირო-ბაბილონური სახელწო-
დება: *ia-a-ve-ilu*, *ia-ah-pi-ilu* და *ia-um-ilu*
და სთარგმნის—„იეგოვა არის ღმერთი“. გომარ-
თელიც ჩვეულებრივად ყურმოჭრილ მონასა-
ვით დანდობია დელიის და გაიძახის ილ—ღმერ-
თია, უ—არის, ია—ვე—ილუ.—იეგოვა არის
ღმერთი-ო. ეს ან მისი ბრალია, რომ გომარ-
თელს მაინც და მაინც უნდა, რომ ამ სიტყვას
ეს მნიშვნელობა ჰქონდეს, ან მისი, რომ მას
არ წაუკითხავს და არ გაუგონია სხვა ასიო-
რიოლოგების აზრი ამ საგანზე მაგ. გილბრეხ-
ტის, ციმმერნის, ბეკოლდის, გომმელის, აგ-
რეთვე გალევის, კიტტელის, კენიგის და ბარ-
ტის, რომლებიც დელიის თარგმანს უარს ჰყო-
ფენ და ფანტასტიურს უწოდებენ. მაგ. გილ-
ბრეხტი მესამე სახელწოდებას სთარგმნის ასე—
„იაუ არის ღმერთი“, გომმელი პირველს—
„არსებობს ღმერთი,“ რანკე კითხულობს მე-
სამეს—„ღმერთი სპობს,“ ბარტის აზრით ეს
სიტყვები ნიშნავენ „ღმერთი აძლევს სიცოც-
ხლეს“, კენიგის სიტყვით „ღმერთი იფარავს“. ასეთი სხვა და სხვა წაირი თარგმანი მოყვანი-
ლი სიტყვებისა ვერაფერს ამტკიცებს, გარდა
იმისა, რომ მათზე დაფუძნება საღ გონების მე-
ქონს არ შეუძლია, გარდა გომართელისა, რო-
მელიც თავის უგზურების დასამტკიცებლად,
რომ ღმერთი არ არსებობს გარდა ადამიანის
წარმოდგენისა, ყოველ ღონისძიებას ხმარობს
და მზადაა ყოველი უსუსური აზრი მეცნიერე-
ბის სახელით მონათლოს. უცილობელი სახე-
ლი „იეგოვა“ ჯერ არავის აღმოუჩენია. არის
რამდენიმე ასი წარწერა, რომელშიდაც მოხ-
სენებულია სემიტური ღმერთების სხვა და სხვა
სახელები, რომლებთა შორის სრულებით არ
მოიპოება სახელი—„იეგოვა“. იეგოვა რომ ნამ-
დვილი ასირო-ბაბილონურ ღმერთის სახელი
იყოს, გომართელის სიხარულს, რომ ებრაე-
ლების „იეგოვა“ ნასესხებია, მაინც ნიადაგი
არ აქვს, რადგან თუ ნასესხებია თავის შინა-
არსიანა უნდა იყოს ნასესხები, როგორც მა-
გალითად ჩვენ ქართველები ან სხვა ხალხები


სესხულობენ უცხო ენებიდან სიტყვებს თავის
შინაარსით; მაგ. ავილოთ, თუ ვინდა, სიტყვე-
ბი: სოციალიზმი, კომუნისმი, ანარქიზმი, ეს-
დეკი, ესერი, კაპიტალი და სხვა მოდური სიტ-
ყვები. ამ სიტყვებში ლობიოს და ტყემალს კი
არ ვგულისხმობთ ჩვენ, არამედ იმასვე, რასაც
გულისხმობენ ის ხალხები, საიდგანაც ეს სიტ-
ყვები შემოვიღეთ. ამის მიხედვით „იეგოვა“
ნასესხები მაშინ იქნებოდა, რომ იგი ერთ ერ-
თი მრავალ ღმერთთა სახელი იყოს და არა ერ-
თი ღმთის, რომლის გარეშე ებრაელების სარ-
წმუნოება არ სცნობს არავითარ ღმერთს. ამას
გარდა გაუგებარი რჩება, რატომ სხვა ღმერ-
თების სახელი არ გადმოიღო მოსემ, მაგ. მარ-
დუკი, ბელი, ანსარი, კისარი და სხვა ამისთა-
ნები? ასეთი გადმოდება პირდაპირი და აუცი-
ლებელი შედეგი უნდა ყოფილიყო, რადგან
დელიის-გომართლის აზრით მოსეს მოთხრობა
ქვეყნის შექმნაზე გადმოდებულია ასეთსავე
ბაბილონურ მოთხრობიდან, სადაც აღნიშნულ
ღმერთებს საპატიო ადგილი უჭირავთ.

მსგავსადვე განუმარტებლით ბ. გომარ-
თელს შაბათის დღესასწაულსაც, მაგრამ თავს
ვანებებთ, რადგან იგი გვიკვირებს მკითხველის
ყურადღებას არ ერიდებო. მხოლოდ ბოდის
მოვიხდით მკითხველთან და თრიოდ სიტყვით
ვუბასუხებთ ბ. გომართელს „ჩვენ კვალში“ ჩემ
წინააღმდეგ გაშანშალკებულ წერილებზე.

ორი წერილია ბ. გომართლის და საუ-
ბედუროდ ვერც ერთი მიზნანს ვერ ხვდება,
გარნა ცხადათ ამტკიცებს მის ყურმოჭრილ მო-
ნურ ნდობას. ეს იმან სიტყვა—ეს ამან სიტყვაო
და ამ სხვა და სხვა მეცნიერების თქმულებებ-
ში გვეკარგება ჩვენი გომართელი, არსად სჩანს
მისი პირადი შეხედულება საგანზე, არსად ის-
მის მისი საკუთარი ხმა. არ ვიცი წააწყდა თუ
არა სადმე ბ. გომართელი ძმათა არაგოების
მეცნიერულ (?) თქმულებას, რომ მზეზე ადამი-
ანები ცხოვრობენო. რომ ენაბა, დარწმუნე-
ბული ვარ მეცნიერების ობოლ მრგალიტე-
ბად გამოაცხადებდა და ქვეყანას ამცნებდა,
როგორც სრულ ქეშმარიტებას ან მეცნიერე-
ბისაგან მიღებულ გიპოტეზას. ვთხოვთ ბ. გო-
მართელს თავის საპასუხო წერილებში აბალ

იქიბოქიას ნუ მოედება, არამედ არსებითად გვიპასუხო, აგრეთვე ნუ სწუხს საქართველო-ზე, რომ იგი ღარიბია მეცნიერი კაცებით: „თუ თავი შენი მას ახლავს, ღარიბად არ იხსენების“ სხვა მეცნიერი რაღა საჭიროა, სადაც გომართელია თავის იქიბოქიებით, უმეტეს, თუ სალომეც მოწმედ ჰყავს.

სანმანიანი.



ბ უ ზ ი.

წყნარ კელიას ჩამოიჯდარი, ფიქრთა ღელვას მივცემოდი, დღიურ ვარძის აღნაბეჭდებს გავეტაცე, შევცტეროდი.

აზრთა მსწრაფლი მიმოქროლა საბჭოდ ველარ გავაჩერე და გონების რვეულზედაც მწყობრად ვერ-რა დავაწერე.

მსწრაფლ რაღაცამ სარკმელისკენ მიიზიდა ჩემი მზერა: პაწა ბუზი გაშმაგებით მეღვრად სარკეს დაეძგერა.

და ამ დროს კი ფართოდ კარებს გაღებულსა ველარ გრძნობდა, წამ და უწუმ სარკის კედელს თავს ამტვრევდა, ეხეთქოდა.

თავგანწირულს მის ბზუილში მე კი სულ სხვა ხმა მესმოდა: უმეტრების მსხვერპლთა სახე თვალ-წინ მიდგა მეხატოდა,

თუ ვითარად ზოგს ჰგონია, თვით-არსია და შეუქთ-მფენი ის, რაც მხოლოდ ნათელს ისვრის სხივს სხივების ვადმომცემი.

ონოფრე მწირო.




ბ. კოლხიდელი.

ბ. კოლხიდელი ჩვენი ჟურნალის მიმართულებას გვიწუნებს, კუქის ინტერესებს არ იცავსო და ჩვენც უკუქო ჯიშის ცხოველებს გვიწოდებს. აგრეთვე გვიკვირებს იმასაც, რომ „ახალგაზდობას ვჯიჯგნით“. აი ორი დებულება, რომელთ მიხედვით ჩვენს ჟურნალს არ შეეხედება ბ. კოლხიდელის აზრით: არ ვიცით, რა ფაქულტეტი შეუსძლოვია ბ. კოლხიდელს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეცოდინება, რომ ადამიანის კუქი და მოთხოვნილება არ ჰგავს არაფერ ცხოველის კუქს და მოთხოვნილებას. ხარი სქამს ბალახს, როცა შია და სვამს წყალს, როცა სწყურია. კაცი სვამს ღვინოს, არაყს, რომს, კონიასს, შამპანსს, შატროზს და სხვა სასმელებს, რომელთა სახელი ლეგენია, ჰამს აგრეთვე მრავალფერ საქმელს, სვამს და სქამს არა მხოლოდ მაშინ, როცა შია და სწყურია, არამედ მაშინაც კი როცა არც შია და არც სწყურია და უფრო ამ დროს. ამ ქეშმარიტების თქვენ თავზედაც კარგად გამოცდილით, ბ. კოლხიდელო, და ამიტომ მაგალითებით თავს არ შეგაწყენთ. ეხლა სხვა მოთხოვნილება: არის ადამიანი, რომელიც კმაყოფილია უბრალო ტანისამოსით და ტანისამოსის დანიშნულებას ხედავს მხოლოდ სიტყვების და სიტყვე-სიტყვის დაფარვაში, ხოლო არიან ადამიანები (რომლის გუნდს უთუოდ თქვენც ეკუთვნით, ბ. კოლხიდელო!), რომლებიც ტანისამოსით ამბარტავენბენ, თავი მოაქვსო და ამიტომ ათას ნაირ ზიბლიბიტოებს აბამენ, ჩექმებს ერთ აარშინიან წვეროებს უკეთებენ, ათას ნაირ ბრჭყვილა ძვირფას ტყავებს ხევენ, ხელებს ორ სამ მანეთიან ხელთათმანებში ხევენ, იმ ხელებს, რომლის საღვთო დანიშნულება თოხია... და აი ასეთ კუქის სამსახურს ვუკვირებთ ჩვენ ჩვენ ჟურნალში. აი ასეთ კუქის მოსამსახურეებს ვებრძვიტ ჩვენ, როგორც ჩვენში ისე თქვენში, ბ. კოლხიდელო, რადგან ასეთი კუქის სამსახური და თაყვანისცემა იდეალად არის აღიარებული, რომლის განხორციელების სურვილი ზადებს ათას ნაირ უსიამოვნებას და უბედურებას,

შურს, მტრობას, კლასობრივ ბრძოლას და სხვა. ჩვენ გვინდა, რომ საზოგადოდ ყველა კუჭები, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს იმ ქვეყნის მფლობელს, თუ დროთა ვითარებისაგან დასჯილ ქარხნის მუშას, უბრალოდ საზრდოობდენ და ცხოვრებას არ აძვირებდენ თავის უზომო მოთხოვნებით. ჩვენ გვსურს, რომ თქვენ მოსკრათ თქვენ ჩექმებს გველი ცხვირი, რომელიც მას არც ათბობს და არც აცივებს და ამ მეტი მასალისაგან ლატაკს ქალამანი შეუკეროთ; ჩვენ გვსურს, რომ ქალღაყთა მოსართავი ზიპოლიპიტოები განდევნილ იქნან ხმარებიდან, რომ მით შეგვიძლებუქდეს ცხოვრება; ჩვენ გვსურს, რომ კუჭის მოთხოვნილება შევამციროთ, რომ მანეთის მაგიერ აბაზი გვაკმაყოფილებდეს, რომ ამით სხვისი კუჭიც კმაყოფილი შეიქმნეს; ერთი სიტყვით ჩვენ გვსურს, რომ კუჭის დაუსრულებელი „მშის“ ძახილი მოისპოს, მის მბრძანებლობას ბოლო მოეღოს. თქვენ კი არ გნებავთ, როგორც გეტყობათ, გაეყარათ თქვენ მეფეს, თქვენ ღმერთს. „იყვენ ნება შენი“, მაგრამ ნულარ გაიძახით პროლეტარს არაფერი აქვს საქმელიო; მისი უსახლკარობა, მისი შიმშილ-წყურვილი, მისი ცხოველური მდგომარეობა (გონებით) შენი გაუმძღარი კუჭის უზომო მოთხოვნილების ბრალია, შენი ზამშის წვეტიანი ჩექმების შედეგია. მოიკალ ზედმეტი სურვილები, თუ გინდა, შეეწიო დაზარულთ!..

რაც შეეხება ახალგაზღობის ჯიჯგანს ეს ასე ყოფილა ყოველთვის და ასეც უნდა იქნეს. ახალგაზღობაა მომავალი ჩვენი იმედი და ნუ თუ ნება არ გვაქვს ეს მომავალი ჩვენი შეხედულებისამებრ აღვზარდოთ? თუ იმას გვიჩვენებ, ბ. კოლხიდელო, რომ გადავსხათ შეილები, როცა იგანი მაგარ საქმლის ჭამას მიეჩვევიან, როგორც ამას შვებთან ფრინველები და ცხოველები. ნუ თუ არ ეუთხრათ, რომ ქვა არ იქმნება, რომ მით შეიძლება კბილები დაიმტერიონ? მაშინ კაცობრიობის განვლილი გამოცდილების სწავლება რაღა საქირაოა?.. ხედავთ, ჩვენი ჟურნალი რომ არც ისე პარტიულია, როგორც თქვენ მოგჩვენებთ ბ. კოლხიდელო? გადაავლეთ თვალი შემდეგ ნომ-

რებსაც და დაინახავთ, რომ ჩვენ პარტიობაზე შორ ვართ, თუ პარტიობად არ მიიღებთ სარწმუნოების წინააღმდეგ მბრძოლო ბრძოლას... რედ.


სახარება, როგორც ცხოვრების საშუაველი

ცაგილიზაციის მართადა საფუძველსა.
(რუსულით).

„პირველად ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველივე შეგქმინოს თქვენ“.
(მათ. 6 თ. 33 მ.).

თანამედროვე ევროპიული განათლება თავის ხასიათით ითვლება ქრისტიანულ განათლებად. იესო ქრისტეს სწავლა მიჩნეულია უმაღლეს ზნეობრივ ქვეყნობად, ძირითად კანონად ადამიანის სულიერ განვითარებაში. სახარების სარწმუნოებას აწერენ უმთავრეს მნიშვნელობას პირად, ოჯახურ, და საზოგადო ცხოვრების მოწყობაში. ერთი სიტყვით, საქმის გარეგანი მხარე გვაძულებს ვიფიქროთ, რომ ჩვენ უმთავრესად ვემორჩილებით ნათლად შეგნებულ და შეთვისებულ სახარების მცნებებს სიყვარულისა და სიმართლისას და ყოველივე ჩვენს საქმეში ვხელმძღვანელობთ განსაკუთრებით სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მოტივებით; მაგრამ სინამდვილე მცირედაც არ ამართლებს ასეთ მოლოდინს. გულგრილი, ხანდახან კი ათვალწუნებული მოპყრობა ყველა იმისადმი, რაც სარწმუნოებას მოგვავაგონებს, თანამედროვე საზოგადოებაში შეადგენს ფართოდ გავრცელებულ ჩვეულებრივ მოვლენას. მაღალ რიგის საკამათო საგნების წამოყენება და მათი გადაწყვეტა, ზნეობრივ კითხვების აღძვრა-განმარტება, ხშირად აშკარად ხდის ბუნდოვან და არეულ შეგნებას ქრისტიანულ სწავლა-მოძღვრების თვით ელემენტარულ მხარეებისას. ამახინჯებენ, ხებრულად ხსნიან სახარების ძირითად მცნებებს; უარსყოფენ ქრის-

ტიანული ზნეობის უმაღლეს მოთხოვნად ბუბს, ი. ინი მიაჩნიათ სისულელეს, ცხოვრებაში განუხორციელებელ და გამოუსადეგარ ოცნებათ; შემეცნებათა მთელ რიგს, რომელიც უნდა უღვიძებდეს ადამიანს ზნეობრივ ძალას და ამშვენებდეს იმის სულიერ სახეს, აწერენ შეუფერებელ დაბალ აზრს. ავღოთ მაგ. სიტყვა „სიღიადე“, წარმოსთქვიით ის რომელიმე კრებაში, ჰკითხეთ იქ დამსწრეთ, რა აზრი აქვთ შეერთებული ამ სიტყვასთან და ვის უფრო შეესაბამება ეს წოდება. ბერს რასმე გეტყვიან ხალხთა დამპყრობელის დღეებზე, პოეტის დიდ ნიჭზე, ვირტიუზის დაუნის გვირგვინებზე, მონარქიების სიმდიდრესა და ძლევამოსილობაზე და იმავე დროს ძალიან ნაკლებ მოაგონდებთ ზნეობრივი ძალა და სისპეტაკე სულით გამირთა, წმ. იღვებისთვის წამებულთა, სიყვარულის მოციქულთა, მოწყალების ძმთა და დათა და ქეშმარიტების თავგანწირულ მქადაგებელთა. თქვენ დაგისახელებენ ცეხარს, ნაპალეონს, შეიძლება გაიხსენონ შექსპირი, ბისმარკი, სალინი, მაგრამ უსათუოდ დაავიწყდებთ ეპიკტეტი, სოკრატე, სიმონი—პეტრე. მოციქული პავლე; დიდებული მომხიბლველი სახელები თავგანწირულ მოღვწეთა: გააზისა, დამიანე ვესტერისა, დიუნანისა და სხვათა კი ვიღას ახსოვს?

ამასთანავე ჩნდება მთელი წყება მოვლენათა, რომელთაც პირველ ხარისხოვანი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ, იბადება ცხოვრების მთელი ახალი წყობილება, მაგრამ ყოველივე ამათ სარწმუნოების პირდაპირი გავლენა სულაც არ ეტყობათ; მიუხედავად ამისა ისინი მიჩნეულია ბუნებრივადაც და გონივრულადაც, იმის მომხრეები გადაჭრით ამტკიცებენ, რომ ქრისტეს სარწმუნოებას ვითომც მოექამოს თავის დრო, ეთქვას თავის უკანასკნელი სიტყვა, რომ სახა-ე-ის ზნეობრივი სწავლა საჭირო იყო მხოლოდ გულუბრყვილო გალაღვეველ მეთევზეთათვის და თანამედროვე განათლებულ ევროპიელს კი სულ სხვა სახელმძღვანელო საფუძვლები ესაჭიროება ცხოვრებისათვის ასეთი საფუძვლები შეუძლია მისცეს იმას, და აძლევს კიდევ, მხოლოდ შეცნიერე-

ბას. შეცნიერებამ, ამბობენ ისინი, აღანთო ლამპარი, რომლის ბრწყინვალე სხივის წინაშე ქრება სარწმუნოების სინათლე და საცაი სრულიდა უნდა გაჰქრეს. სარწმუნოებას სინათლე ხშირად იბურებოდა კრუმორწმუნოების ნისლით, ხშირად აღიგზნებოდა ხოლმე ბოროტის მომასწავებელ ფანატისმის ალით, ხშირად იყო გამომწვევი ძმთა გამანადგურებელ ოწინანობისა. საკმაოა გავიხსენოთ ბრთლომეს დამეები, დრაგონადები, ინკვიზიციის კოკონი და ტანჯვანი, რომ დაელოცოთ შეცნიერება, რომელმაც იხსნა კაცობრიობა ასეთ საშინელებათაგან“.

გ. რ.—მე.

(შემდეგი იქნება).

✻

ჩ ე დ ა მ ც ი ი ს პ ა ს უ ხ ი .

ჩვენ წერილს შესახებ იმერეთის საეპარქიო საქალებო სასწავლებლისა ძალიან გაუწიწმატებია, ვისიც ჯერ იყო. ამის გამო რუსულ ვაზეთ „Наша жизнь“-ში რალაც პასუხივით დაუწერია ბ. X., რომელიც პასუხი კი არ არის, არამედ უფრო მტყუანი კაცის უძლური გულის ფხანაა. ჩვენ ვიწუნებდით ქალების აღზრდა განვითარების საქმეს და სკოლის ოჯახურ მდგომარეობას, ბ. X კი გამოიმდგარა და გვიკიეინებს, ვითომ ჩვენ მასწავლებლობა გვდომოდეს, ვერ ვღირსებოდეთ და ეხლა ჯავრის ყრის საღერღელი ავგშლოდეს. ეს საკითხის პასუხი არ არის, ვიმეორებთ. და გვიმტკიცოს ბ. X., რომ ჩვენ ვსტყუით, რომ სწავლის საქმეც მშვენიერადაა მოწყობილი ყაზახების ცხენებიც არ აფუქებენ ჰაერს და არც სკოლის ეზოა გაპარტაბებული; დაგვიმტკიცოს, რომ სასწავლებელს გულმემატკივარი და თავდადებული მოთავე ჰყავს და ჩვენ ბოდის მოვიხდით, რადგან მართლა განძრახვით არ ვლაპარაკობთ, ვითომ ვინმეს ვაწყენინოთ და შური ვიძიოთ (რომლის მადა არასოდეს არ გვქონია). ადგილსაც სიამოვნებით ჩვენსავე გამოცემაში დავუთმობთ. ჩვენი აზრის წინააღმდეგის დამტკიცებით კი არ გვაწყენინებს ბ. X., გაგვახარებს კიდევ. რაიცა შე-

ებება ბ. X. აზრს, რომ ვითომ ჩვენ ან... ება გვალაპარაკებდეს, ვერჩვეთ ჯერ თავის ეკლ-ში გამოიღოს ღირე და მეტმე ჩვენსაში ეძიოს ჩხირო.

რედაქტორი.



კვირილამ კვირობაჲმდე.

4 იენისისთვის დანიშნული იმერეთის სამღვდლოების დეპუტატთა კრება ყოვლად სამღვდლო ვიორგის თანხობით ერთი თვით გადაიდვა, რადგან კრებას ხელთ არ ქონდა საჭირო ცნობები ზოგიერთ საკითხების შესახებ. კრებამ საზოგადოდ ყველა საკითხების გამო-სარკვევად აირჩია ოთხი კომისია სამ სამი პი-რისაგა. პირველ კომისიას მიენდო სასულიერო სასწავლებლის საქმე, მეორეს საქალბობა სასწავლებლისა, მესამეს სანთლის ქარხნისა, მეოთხეს საზოგადო საკითხები სამღვდლოების ყოფა მდგომარეობაზე. პირველ სხდომაზე მ. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას სამწუხარო ამბავი მისის მალალ ყოვლად უსამღვდლოე-სობის მთავარ ეპისკოპოსის ნიკონის საზიზ-ლარი მკვლელობისა. კრებამ ფეხზე წამოდგო-მით პატივი სცა განსვენებულ ეკზარხოსის ხსოვნას და დაადგინა გადახდილ იქმნას პანა-შვიდი მისი სულის მოსახსენებლად და გაიგ-ზავნოს თანაგრძნობის ღრმა მწუხარების გა-მომეტყველი ტელეგრამა ყოვლად სამღვდლო გრიგორის სახელობაზე, რომელიც დანიშნულ იქმნა უწმიდესის სინოდისგან საეკზარხოსოს დროებით მმართველად. პანაშვიდი გადახდილ იქმნა 5 იენისს ხუთშაბათს საღამოს ქუთაისის საკრებულო ტაძარში, რომლის შემდეგ დეპუტა-ტები დაიშალნენ იმ განზრახვით, რომ 1 იუ-ლისის რიცხვს ხელახლა შეიკრიბონ.

კასუხი მცირე შენიშვნის ავტორს.*)

ჩემშიერ ნაჩვენები საშვალეება მკბენარის წინააღმდეგ ბ. „შენიშვნის“ ავტორს საწამლა-

*) იხ. № 7 „შინაური საქმეებისა“ 23. 16.

ვად მიაჩნია არა თუ მკბენარისთვის, თრთოვა-ნისთვისაც და დასამტკიცებლად მოჰყავს ნა-ყოფი თავის გამოცდილებისა. „ზეითუნის ზე-თი წიწილებს თვალებს უბრმავებსო და ყურ-ში ჩაუღისო“ ბრძანებს ავტორი, ამის მსგავსი შემთხვევა მე არ შემხთომია ათი წლის ჩემ, პრაქტიკაში და არც იმ პირიდგან გამიგონია, რომელმაც ეს მასწავლა; ეს პირი ვახლავს მთელს ევროპაში ნაცნობი ბ. აბოზინი.

ზეთი უნდა წაუსვან ცოტა და წასიძს. დროს უხდა წაღან ნელხელა ის ადგალა. ზეთი ჩაუვა ყურში და თვალეებში მაშვინ, თუ რომ ზეთი დაასხენ წიწილს, ან სქლათ წაუს-ვეს.

ბ. ავტორს ეძვეება აგრეთვე სარგებლო-ბა ცომისა წიწილებისთვის. თუ რომ მბილს საკმელს წიწილი მალე ინელეებს, ამ მონელე-ბით თუ ნორჩი სხეული წიწილისა ნაკრდება, ბუნდლით მალე შეიმოსება და იზრდება, მა-შასადამე მბილი საკმელი და კერძოთ ცომიც, დიდი მარგებელი არი; ამიტომაც მთელს ევ-როპაში და ამერიკაში პირველად წიწილებს აძლევენ მხოლოდ მბილს საკმელს.

გულითად მადლობას ვუცხადებ ბ. მ-ის თავის შენიშვნისათვის და უმორჩილესად ეთხოვ ყოველს საეკვა შემთხვევაშიდ მგავს შენიშ-ვნებს, რომელიც დიდად საჭიროა საქმისთვის.

ბ. მკურნალი



მიგალითვისი, რომლებმეც ამტკაყებენ სულის უკუ-დაეებას და საიქით ქხთოვრების არსებობას.

(გომართელის „სულია და ტვინის“ გამო).

ქუნწა საეკვადის შემდეგ ათვალაურებს თავის საუნჯეს.

ეს ამბავი გადმოცემულია ქ-ნ ბლიაკისა-გან, მანვილ-გარდენსიდგან ედინბურგში, რომელსაც ჩაუწერია იგი ერთი ძლიერ პატრუ-ცემულ მოხუც მეგობარ ქალის სიტყვებიდგან, რომელიც ავით-მბილველი ყოფილა ამ უცნა-ური ამბისა.

„1839 თუ 1840 წ., როცა ჯერ კიდევ ახალგაზღვა ქალი ვიყავი, ჩემმა ძმამ ცოლს ავთომყოფობისა გამო დაიქორავა სახლი სამხრეთ შოტლანდიაში. მისვლისთანავე ბავშვებს წითელ-პატონები დაემართათ და ძმამ მთხოვა წავსულ ყველავთმყოფ ბავშვების მოავლელად. სახლი ძმამ იქორავა აგენტის საშუალებით და ამიტომ არაფერა იცოდა მის ყოფილ მცხოვრებლებზე. ჩემი მისვლის პირველ დამეს ჩვენ დიდხანს ვისხედით ერთად და თითქმის დამის 12 საათი იქნებოდა, როცა დახაძინებულად წავედ-წამოვედით. თუმცა მე ძლიერ დაღალული ვიყავი და დაწოლა ავიჩქარე, მაგრამ ძლით მაინც დიდხანს არ დამეძინა, რადგან მაწუხებდა ავთომყოფ ბავშვების მდგომარეობა. ასე გაიარა თითქმის ერთმა საათმა; მე თვალგახელილი ვაწევი, როცა ჩემი ყურადღება მიიქცია ბნელ სინათლემ, რომელიც ვითომ კიბეზე ამოდიოდა. პირველად მე ვიფიქრე უთუოდ ძიძა მოდის, რომ ბავშვების ამბავი გამაგებოს თქო და ლოგინზე ჩამოგვექვი. სინათლე შეჩერდა ჩემი ოთახის კართან, რომლის ხელსაკიდი წყნარად გადიწოა და თვალწინ აღმიდგა საოცარი სურათი: ოთახში ფრთხილად და კოკლობით შემოვიდა პატარა ცალ მხარ ჩამოგდებული მოხუცი. მისი შედარებით დიდი თავი დაფარული იყო ქალარა ამდგარი თმით. ცალ ხელში წყვანე სპილენძის უცხო ფორმის შანდალი ეჭირა. ერთხელაც რომ არ შემოუხედავს ჩემი ლოგინისაკენ, ისე მივიდა ოთახის ერთ კუთხეში, საითაც მე თავი მქონდა, გადასწია ფეცარი, რომლის იქია კედელში გამოჩნდა თავისუფალი ალაგი, სადაც ეწყო ოქროს ფულეები; დაუწყო თვლა და თან რაღაცას ბუტბუტებდა. მე მაინც და მაინც ძალიან არ შემშინებია, მხოლოდ განცვიფრებული ვიყავი ამ მოკლენის მოულოდნელობით, და სულ იმას მივჩერებოდი, სანამ საათმა ორი არ დარგვა. მაშინ მახუცმა გადმოსწია ფეცარი; დამალა ის ადგილი, სადაც ფულს ირვლიდა და იმავე აუჩქარებელ ნაბიჯით გაემართა კარებისაკენ. მე ჩამოვბტი სიწოლიდგან, გამოვუღევი უკან, მინდოდა ღმა გამომეცა, დაეღობრაკებოდი, მაგრამ ენა არ შემორჩი-

ლებოდა. იმავე ბუტბუტით მოხუცი მიდიოდა ძირს, მე უკან მოვსდევდი, და შუა კიბეზე იგი უეცრად საღლაც დამემალა, და წინ კიბეზე ჩქარის ნაბიჯით შეშეფეთა ძიძის თანაშემწე, ფერმიხდილი, აღელვებული. „ხომ არავინ დაგინახავს კიბეზე დეენ ჴეკითხე მე. მან უარით მიპასუხა. იგი გამოვეგზავნათ ჩემთან სათქმელად, რომ ერთ ბავშს საყმაწვილომ მოუარა. ბავშვი მეორე დღესვე გადაიკვალა. საღამოს, როცა ბავშვი დავასაზღავეთ, მე გადავევი ჩემ ძმას ჩემი საოცარი ჩვენება. და ჩვენ ორივემ გადავსწვიტეთ, რომ ეს იყო შესანიშნავი თავის სიცხადით და სიცხოველით სიზმარი. მე რამოდენიმე ხანი დაერჩი ძმასთან. ერთხელ სოფლის ექიმმა, რომელიც იმ დღეს ჩვენთან სადილობდა, გვიამბო, რომ სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, უბედურ სახლად მიაჩნია მთელ სოფელსო, რომ იქ ხშირად დაიარება მისი ყოფილი პატრონი და თავის საუნჯეს დარაჯობსო. იმას ყველა იცნობდა თავის ღრობე, როგორც დიდ ვაქარსო, დაუმატა ექიმმა. შემდეგ ჩვენ გამოვკითხეთ ექიმს გარფვანი შეხედულება საიდუმლო მასპინძლისა და მან აგვიწერა იგი იმ ნიშნებით, რომლებითაც მე ვნახე იგი იმ დამეს“. ამის შემდეგ ძმას აღარ უცხოვრნია დიდხანს ამ სახლში. რამოდენიმე წლის შემდეგ სრულიად შემთხვევით ამოვიკითხე გაზეთში, რომ ამ სახლს ახალი პატრონი გაუჩნდა, რომელსაც სახლი ხელახლა გადაეკეთებია და ამ გადაკეთების დროს მუშვებს ერთ ოთახში უნახავთ კედელში ფარული შკაფი ფიცრის კარით და შიგ ოქროს ფულეები. უფრო საოცარი ამბავი ის არის, რომ გაზეთის სიტყვით, ოქროს ფულეებთან ერთად ეპოვნათ მწვანე სპილენძის შანდალი, სწორეთ იმ ნიშნებით, როგორც მე ვნახე მოხუცის ხელში.

ჩვენება სოფლია ალექსანდრეს ასელას აკსაკოვისა.

ქვემო აღწერილი ამბავი ეკუთვნის იმ დროს, როცა ჩემი განსვენებული მუღლღე პირველ ქორწინებაში იყო (გადმოგვითხს ა. აკსაკოვი), და დასწერა მან ჩემის თხოვნით

1872 წ. მომყავს აქ იგი სიტყვა სიტყვაზე, როგორც აწერილია მის ხელ ნაწერში. როცა 1873 წ., ბერნში ყოფნის დროს, ჩვენ გავეცანით პროფესორ პერტის, რომელიც, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით სწავლობდა ასეთ მოვლენებს, იგი მეტაფიზიკურად დააინტერესა ამ ამბავმა; მიიღო თუ არა ეს ამბავი ჩემი ცოლისაგან, მან მოათავსა იგი ჟურნალ „Psychische Studien“-ში (1874 წ. გვ. 122 და 166), თავის შენიშვნებით, რომელშიდაც არკვევს, რატომ არ შეიძლება ეს ჩვენება ყოფილიყო სუბიექტიური; იქვე მოათავსებულია ჩემი ახსნაც, რომდენადაც მე მგონია საკმაოდ შესაგნებელი საიდუმლო „ტყავის სიგელისა“. ეს ამბავი გამოვიდა შემდეგ ინგლისურ ენაზედაც ჟურნალ „Spiritualist“-ში 1871 წ. ტ. I გვ. 183 და წიგნაკში „Spirits before our eyes“, რომელიც გამოცა გარრისონმა ლონდონში 1879 წ.

ეს მოხდა 1855 წ. როცა მე ცხრაშეტი წლის ვიყავი მე მაშინ არ ფერი ვიცოდი სპირიტისმი. და არც თვით სიტყვა „სპირიტისმი“ გამეგონა. მე აღვიზარდე ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიის კანონებში, თავის დღეში მიდრეკილება არ მქონია მისტიციზისადმი და სრულებით მეოცნებე არ ვყოფილვარ და არც ცრუმორწმუნე. ჩვენ ვცხოვრობდით მაშინ იაროსლავის გუბერნიის ქალაქ რომანოვო ბარისოვლებკაში. ჩემი მული, ეხლა ტიბონოვის ქვრივი, ღოლო მაშინ ცოლი ექიმ ა. ფ. ზვენგირევეისა, ცხოვრობდა თავის ქმართან რიაზანს გუბერნიის ქალაქ რანენბურგში, სადაც ბ. ზვენგირევეი მსახურებდა. გაზაფხულის წყალდიდობის გამო, მიმოსვლა შეჩერებული იყო და ამიტომ ჩემი მულიგან კაი ხანია წერილი არ მიგვეღო, რაც სრულებით არ გვაშინებდა, რადგან ზემოაღნიშნულ მიზეზს ვაწერდი. 12 მაისს საღამოს მე ვილოცე, გამოვეთხოვე ჩემ პატარა ქალს (მაშინ იგი ნახევარი წლის იყო, მისი ლოკინი ჩემ ოთახში იდგა ოთხ არშინის მანძილზე დაცლებული ჩემი ლოკინიდან, ისე რომ მე შემეძლო მთელი ღამე მეუურობა მისთვის), დავწვი და დავიწვე რაღაც წიგნის კითხვა. კითხვის დროს

მე გავიგონე, როგორ დარეკა კედლის საათმა თორმეტი. მე დავდვი წიგნი ლოკინთან მდგომ პატარა შკაფზე და წამოვიწიე სანთლის დასაქრობად. ამ წუთში მე გავიგონე, როგორ გაიღო კარი წინა ოთახში, შემდეგ ხალაში და ვილაც კაცის ნაბიჯით შევიდა შიგ, ეს იმ ზომამდე ცხადი და გარკვეული იყო, რომ მე დამენანა სანთელი რომ დავაქვრე. დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ჩემი ქმრის კამერდინერი იყო, რომელიც უთუოდ მასთან მოდიოდა შეეტყობინებია, რომ ავთმყოფთან ხმობილობდენ, რაც ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რადგან ჩემ ქმარს იმ დროს მაზრის ექიმის ადგილი ექირა; მე მხოლოდ იმან გამაკვირვა, რომ მოდოდა კამერდინერი და არა ჩემი მოახლე გოგო, რომელსაც დავალეებული ჰქონდა ამისთანა დროს შეტყობინება. ამ ნაირად ნიდაყვზე დაურდნობილს მე შესმოდა ნაბიჯის მოახლოება, ნელი ნაბიჯის და არა ჩქარის, რაც ძალიან მაკვირვებდა. როცა ფეხის ხმა შემოვიდა სასტუმრო ოთახში, რომელიც ჩემ ოთახზე იყო მობმული და რომლის კარი ყოველთვის ღია მქონდა, მე დავუძახე: „ნიკოლაი (კამერდინერის სახელია), რა გინდა?“ ხმა არავინ გამოცა, ხოლო ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა და ბოლოს ჩემ შუშებთან შირმასთან გაისმა. რაღაც უცნაურმა შიშმა ამიტანა და გულადმა მივწვი ბალიშებზე.

ჩემ პირდაპირ ხატი ესვენა, რომლის წინაც ენთო გაუქრობელი ლამპარი, ყოველთვის განზრახ იმ ზომამდე განათებული, რომ ძიძას მის შუქზე აღვილად შეძლებოდა ბავშვის მოვლა. ძიძას ჩემ ოთახში ეძინა შირმებს იქით, რომლისკენაც მე თავი მქონდა. ლამპარის ასეთ შუქზე მე აღვილად შემეძლო გამერჩია ვინ შემოვიდა ჩემს ოთახში. ეს იყო ჩემი სიძე ა. ფ. ზვენგირევეი, მაგრამ სრულიად ჩემთვის არა ჩვეულებრივ სახით — გრძელ, შავი ვითომ ბერის ანაფორაში, გრძელი თმით, რომელიც ბეჭებამდის სწვდებოდა და დიდი წვერით, რომელსაც იგი არ ატარებდა, სანამ ვნახულობდი. მე მიწოდოდა თვალები დამეხუტა, მაგრამ ვერ მოვახერხე, რადგან ვგრძნობდი.

რომ მთელი ჩემი სხეული გაქვავდა; მე უკვე აღარ შემიძლო ან გავნძრეულიყავ და ან მოსამსახურისთვის დამეძახნა; მხოლოდ სმენა, ხელვა და მოსაზრება არ დამეარგვია და ვგრძნობდი ყველაფერს, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, ამიტომაც მეორე დღეს მე დაწვრილებით მოვეყვები რამდენჯერ ადგა ძიძა, რამდენჯერ და რომელ სააზზე აწოვა ბავშვს ძუძუ, ან როდის ამოიყვანა და ხელახლად ჩააწვინა. ჩემი ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა თორმეტი საათიდან სამ საათამდე და აი რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში.

ახლად შემოსული მოვიდა ჩემ ლოგინთან მარცხნივ კერძო, დადგა გვერდით, მოობრუნა ჩემსკენ პირი, დამადგა პირზე თავის სამარისებური ცივი მარცხენა ხელი და ხმამალლა მითხრა: „მაკოცე ხელზეო“. არაფერი ლონისძიება არ მქონდა გამეთავისუფლებია თავი ამ უცნაური გავლენიდან. და მხოლოდ შინაგანი ნების ძალით ვუწვედი მის ბრძანებას წინააღმდეგობას. თითქოს ჩემი გულის განძრახვა გაიგო, მან უფრო ღონიერად დამაქირა ხელი პირზე და მეტის ბრძნებითი კილოთი მითხრა: „აკოცე ამ ხელსო“. მეც მეტი წინააღმდეგობა ვაუწვიე განმეორებულ ბრძანებას. მაშინ, მესამეჯერ, უფრო მეტის ღონით, განმეორდნ იგივე სიტყვები და იგივე ხელის მოძრაობა და მე ვიგვიძენი, რომ ვიგულები დაქერილი ხელის სიმძიმისა და სიცივისაგან; მაგრამ ბრძანების დამორჩილება მაინც არ შემიძლო და არც მიხდოდა. ამ დროს ძიძა პირველათ ადგა ბავშვისთვის, და მე იმედი მქონდა, რომ იგი რაიშე მიზეზის გამო მოვიდოდა ჩემთან და დაინახავდა, რა მდგომარეობაში ვიყავი; მაგრამ მოლოდინი გამიცრუდა: მან მხოლოდ მსუბუქად გადაარწო ბავში და არ ამოუყვანია, ისე მალე მიეძინა. ამ ნაირათ მე ვხედავდი, რომ არსათ საშველი არ იყო და ვიფიქრე უთუოდ ვკვდებოდა და ის რაც ეხლა მე შემართებოდა უეცარი სიკვდილის ნიშანი შეგონა, ამიტომ მოვიხდომე გულში უფლის ლოცვის „მამაო ჩვენო“ წაკითხვა. გამოარა თუ არა ამ ფიქრმა გულში, ჩემთან მდგომარეობა ხელი მომაცილა პირზე და კიდევ ხმამალ-

ლა მითხრა: „შენ არ გინდა, რომ ხელზე მაკოცო, აი რა მოგელის შენო“ და ამ სიტყვებთან მარჯვენა ხელით დასდგა პატარა შკაფის თავზე გრძელი დახვიული სიგელი, ჩვეულებრივი საწერი ქალაქის ოდენა და როდესაც მან ხვეულის ხელი გაუშვა, მე ცხადად გავიგონე ქალაქის შრიალი, რომელიც გამოიწვია ხვეულის გაშლამ და დაეინახე მარცხენა თვალით ნახევრად გაშლილი, ან უკეთ რომ ვსთქვთ მსუბუქად დახვეული ქალაქი. შემდეგ იგი მიბრუნდა, რამოდენიმე ნაბიჯი წარსდგა წინ, დასდგა ჩემსა და ხატშუა, დაფარა ჩემგან ლამპრის სინათლე და ხმა მალლად და სრულიად გარკვეულად წაკითხა „მამაო ჩვენო“ თავიდან ბოლომდის, ხანდისხან მიმედ თავს უკრავდა, ხოლო პირჯარი კი არ დაუწერია. როცა იგი თავს ხრიდა, მე ლამპარის შუქს ვხედავდი, ხოლო როცა ანმართებოდა, ლამპარის შუქს მიფარებდა. გაათავა თუ არ ლოცვა მცირე მეტანიით, იგი გაიმართა და დადგა გაუნძრევლად, თითქოს ელოდდა რაღაცას, ჩემი მდგომარეობა კი სრულებით არ შეცვლილა და, როცა მე განვიძრახე ღეთის მშობლის ლოცვის წაკითხვა, მან ისევ ხმა მალლა და გარკვეულად წაკითხა ეს ლოცვა. იგივე მოხდა მესამე ლოცვის შესახებ „აღსდგინ ღმერთი“. — ამ ორ უკანასკნელ ლოცვის კითხვაში ძიძა რამოდენჯერმე ადგა ბავში ამოიყვანა, ხელახლა შეხვია, აწოვა და დააწვინა. თვითვე ლოცვის კითხვაში მე ცხადათ მესმოდა საათის რეკა, რომელიც არ უშლიდა ლოცვის კითხვას; მესმოდა აგრეთვე თითველი მოძრაობა ძიძისა და ბავშვისა; ამ დროს ჩემი სურვილი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ რაიმე ნაირად მენიშნებია ძიძისათვის, რომ ბავშვი მოეყვანა, რომ დამელოცნა სიკვდილის წინ, რომელშიდაც მე ეჭვი არ მქონდა, მაგრამ ეს სურვილიც არ შემისრულდა. დაირეკა სამი საათი; ამ დროს, არ ვიცი რატომ, მე გამახსენდა, რომ აღდგომიდან ჯერ კიდევ ექვსი კვირა არ გასულა და ეკლესიებში ჯერ კიდევ გალობენ აღდგომის სავალთველს — ქრისტე აღსდგას! — და მე მომინდა მისი გაგონება... თითქოს ამ სურვი-

ლის პასუხად, უეცრად საიდგანლაც შორიდგან ვაისმა სამღვთო ხმები დადებული ცნობილი საგალობლისა; ვალობდა აურაცხელი ხმების სრული გუნდი საჯლაც მიუწთომლ სიმალღეში... ხმები თანდისთან ახლოვდებოდნენ, უფრო სრულად და მკაფიოდ გაისმოდნენ; ეს ვალობა ისეთი ჰარმონიელი რამ იყო, რომ მისი მღვდელი მე არა გამიგონია რა ჩემს სიკაცხლეში და მთელ ამ ვალობის დროს დიდ აღტაცებას ვგრძნობდი და სიკვდილის შიშმაც გამიარა; მე ბედნიერ დ ვგრძნობდი ჩემს თავს იმ იმედით, რომ ეს ხმები მეც შემიერთებენ და გამიტაცებენ თვალ უწვდენელ სიფრცესში... ვალობის დროს მე ცხადათ მესმოდა და ვარკვევდი დიდებული საგალობლის სიტყვებს, რომლებსაც ბეჯითად იმეორებდა ჩემ წინ მღვდომი კაციც. ამ დროს უეცრად რაღაც სხივმა გაანათა მთელი ოთახი, რომელშიდაც (სხივში) დაიკარვა ლამპრის შუქიც, კედლებიც და თვით ჩვენებაც. ეს ნათელი ბრწყინავდა რამოდენიმე წამს და ამ დროს გაისმოდა იგივე არაქვეყნიური ვალობა, მაგრამ მეტად ძლიერი, და ხმა მაღალი. შემდეგ ნათელმა იწყო კლება და მე ხელახლა გავარჩიე ჩემ წინ მღვდომი კაცი, მაგრამ შალად კი არა, არამედ თავიდგან წელამდის; იგი თითქოს შეუერთდა ამ ნათელს და ნელნელა დნებოდა მათში, როგორც ნელნელა ჰქრებოდა და ბნელდებოდა ნათელი; შეხვეული ქაღალდიც, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემ წინ იდგა, ამ ნათელს შეუერთდა და მასთან ერთად გაჰქრა. რამდენადაც ნათელი კლებულობდა, იმდენადვე წყნარდებოდა ვალობაც.

ცხლა მე ვგრძნობდი, რომ მენსიერება მეკარგებოდა და გული მიმდიოდა. გული მართლა წამივიდა და ამას მოჰყვა მთელი სხეულის მანქვა. თავის სიძლიერით ამ ბნელამ გააღვიძა ყველა შინ მყოფი და, ჩიუხედავად მიღებული ზომებისა, გაგრძელდა დილის ცხრა საათამდის; მხოლოდ ამ დროს მოვედი გონს და მიტია მანქვამ. სამი დღე და ღამე ამის შემდეგ მე სრულიად უძრავად ვიწევი ნამეტანი სისუსტისგან და განღვინისგან, რომელიც გა-

მოიწვია პირიდგან სისხლის ღებინებამ, რაც ბნელამ გამოიწვია. ამ უცნაური შემთხვევის მეორე დღეს ზენიგირევის ავთმოყოფობის ბართი მივიღეთ, ხოლო ორი კვირის შემდეგ გარდაცვალებისაც, რომელიც მოხდა, როგორც შემდეგ შევიტყვეთ 12 მაისს დილის ხუთ საათზე.

ამასთან შესანიშნავია კიდევ შემდეგი: როცა ჩემი მული ექვსი კვირის შემდეგ ვადმოვიდა ჩვენთან რომანოვოში საცხოვრებლად, ერთხელ, სრულიად შემთხვევით სხვა პირთან ლაპარაკში, რომელსაც მეც ვავესწარი, სთქვა, რომ ზენიგირევი დაიმარხა გრძელი ბეჭებამდის თმით და გრძელი წვერიოთ, რომლებიც ავთმოყოფობაში მოეზარდნო; მოიხსენა აგრეთვე, რომ იგი დაიმარხეს გრძელ მაუდის სამოსში, რომელიც განძრახ ამისთვის შეუკეთესო. („Ребус“ 1890 г. № 13).

სანმანიანი.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორ-გამომცემელი
მღვდელი სიმონ მამელიძე.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

პ რ ო გ ი მ ნ ა ზ ი ა

პირველი თებერვლიდგან ქალაქ ქუთაისში ქნე. მქედლიძის სახლებში (საბურთალო — კახაკოვის — შესახვევი № 17) გაიხსნა კერძო ოახკლასიანი პროგიმნაზია. აქვე ამზადებენ მსურველთ სხვა და სხვა სასწავლებლისათვის და ღებულობენ სარგებეტიციოდაც.